საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1431 2019 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ და „ჰ³“ ქვეპუნქტების საფუძველზე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის №1830 განკარგულებიდან გამომდინარე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ (შემდგომში – ცენტრი) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მმართველია, დაევალოთ:

ა) სამინისტროს 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარის მოძიება და სუბსიდიის სახით ცენტრისათვის გადარიცხვა კრედიტორული დავალიანებების დასაფარად;

ბ) სამინისტროს, უზრუნველყოს ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვის პროცედურების განსახორციელებლად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, 65-ე, 66-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად, ცენტრთან თანხების გადარიცხვის შესახებ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება;

გ) ცენტრს, უზრუნველყოს სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადარიცხული თანხის ხარჯვის შესახებ ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**